საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას

განმცხადებელი:
სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“

მოპასუხე:
ფორმულა ტვ-ის ჟურნალისტები:
თამარ ბაღაშვილი, ქეთი ნადიბაიძე, დავით ქაშიაშვილი

განცხადება
(მედიასაშუალება „ფორმულა ტვ-ს ჟურნალისტების მიერ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების დარღვევის შესახებ)

2023 წლის 04 თებერვალს 20:00 საათზე ტელეკომპანია ფორმულას ეთერში გადაიცა გადაცემა “შაბათის ფორმულა“ (https://formulanews.ge/News/84603), რომელშიც ჟურნალისტებმა არაობიექტური, მიკერძოებული ფორმით გაავრცელეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ დეზინფორმაცია.

ასევე, გადაცემაში ნაჩვენებია კანცლერის მიმართ უნებართვოდ გადაღებული კადრები და ფარულად გადაღებული კადრები უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის კაბინეტში, რასაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ რესპონდენტები, მაგრამ კადრები მაინც გავიდა ეთერში.

ფაქტები:
1. გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტი თამარ ბაღაშვილი მტკიცებით ფორმაში ასახელებს ფაქტს - “ოლიგარქმა ტექნიკური უნივერსიტეტიც ჩააბარა, ხიდაშელმა უკვე შეიძინა რამდენიმე ქონება კოსტავას 77 ნომერში, ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ მისამართზე უნივერსიტეტის დიდძალი ქონების ნაწილი უკვე რუსი ბიზნესმენის სახელზეა.“ (გადაცემის 00:23 წუთზე).

2. წამყვანი დავით ქაშიაშვილი გადაცემის 01:27 წუთზე აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის კანცლერი არის “უბრალოდ უზრდელი.“

3. 06:48 წუთზე სიუჟეტის ავტორი, ჟურნალისტი ქეთი ნადიბაიძე ამბობს, რომ “სავარაუდოდ, ხიდაშელის შემდეგი გეგმა და გათვლა არის ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური თუ არამატერიალური ქონებით სარგებლობა“.

4. 07:23 და 08:29 წუთზე გადაცემაში ჩანს, რომ უნივერსიტეტის კანცლერი მოითხოვს, რომ არ განხორციელდეს მისი ჩაწერა კამერის საშუალებით.

5. 09:14 წუთზე უნივერსიტეტის რექტორი კიდევ ერთხელ აღნიშნავს ფონდის მიზნებს და აფიქსირებს, რომ ჟურნალისტებს უკვე გასცეს მათ კითხვებზე პასუხი, რასაც ჟურნალისტი ქეთი ნადიბაიძეც ეთანხმება.

6. 10:12 წუთზე ქეთი ნადიბაიძე აცხადებს, რომ „კარტოგრაფების საქმის ოქროს მოწმის ბიზნესმენის ვალიდან ამოსვლას რაჭის და თბილისის ძვირადღირებული ქონებების შემდეგ აგრძელებს...“

7. 13:23 წუთზე ელენე ხოშტარია აცხადებს: “დავით ხიდაშელი არის რუსული ოლიგარქიულ კრიმინალური სამყაროს ეფესბეს ნაწილი, მთელი მისი მოღვაწეობა ასეთია და მე ვიცი, რომ ის დაახლოებულია ძალიან საქართველოს მთავრობასთან და ხან რაღაც მიწას ყიდულობს, ხან იტაცებს ტერიტორიებს, რაღაც ფონდებს ხსნის და ა.შ. ეს ადამიანი უნდა იყოს დასანქცირებული, რადგან ეს ადამიანი დღეს ემსახურება რუსულ ინტერესებს საქართველოს გავლით თან... “

8. წამყვანი დავით ქაშიაშვილი გადაცემის 5:00 წუთზე სვამს კითხვას: “ტექნიკური უნივერსიტეტი განა იძლევა ცოდნის იმ ხარისხს, რა დაფინანსებაც ბოლო წლებში ამ უნივერსიტეტს აქვს?... “ ; ხოლო 14:16 წუთზე იგივე წამყვანი აცხადებს: “ვინც ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩაბარებას გადაწყვეტს ამ რეპორტაჟის შემდეგ და იცის რომ ეს ადამიანები არიან ამ უნივერსიტეტის სათავეებში და მმართველები, როგორ უნდა ჩააბარო... აი, როგორ უნდა იყოს შენი კანცლერი ეს კაცი ... ქართულ ოცნებასთან ვინც კი კავშირში ყოფილა ოდესმე და ასე ვთქვათ ცუდი საქმეები უკეთებია იმათ განსაკუთრებულად უფასდებათ“...

9. 12:49 წუთზე ჩანს, რომ თამაზ ურთმელიძის გადაღება მიმდინარეობს ფარულად. იმ დროს სამუშაო ოთახში იმყოფებოდნენ თამაზ ურთმელიძის თანამშრომლები და სამსახურებრივი საკითხების განხილვა ხდებოდა. თამაზ ურთმელიძემ შენიშნა, რომ უნებართვოდ, სამსახურებრივ სივრცეში იღებდნენ კამერით და კითხვა დაუსვა ჟურნალისტს, ფარულად იღებდა თუ არა ის, რაზეც ჟურნალისტმა უარი განაცხადა...

1-საკითხი.

1. გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტი თამარ ბაღაშვილი მტკიცებით ფორმაში ასახელებს ფაქტს- "...ოლიგარქმა ტექნიკური უნივერსიტეტიც ჩააბარა, ხიდაშელმა უკვე შეიძინა რამდენიმე ქონება კოსტავას 77 ნომერში, ტექნიკური უნივერსიტეტის მისამართზე უნივერსიტეტის დიდძალი ქონების ნაწილი უკვე რუსი ბიზნესმენის სახელზეა." (გადამის 00:23 წუთზე).

მთლიანად გადაცემას წითელ ზოლად მიყვება ჟურნალისტების მცდელობა დააჯერონ საზოგადოება, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ქონება საფრთხეშია და ბიზნესმენ დავით ხიდაშელს სურს უნივერსიტეტის მატერიალური და არამატერიალური ქონების ხელში ჩაგდება.

წამყვანი თამარ ბაღაშვილი საზოგადოებას უცხადებს ფაქტს - "ხიდაშელმა უკვე შეიძინა რამდენიმე ქონება კოსტავას 77 ნომერში, ტექნიკური უნივერსიტეტის მისამართზე უნივერსიტეტის დიდძალი ქონების ნაწილი უკვე რუსი ბიზნესმენის სახელზეა".

აღნიშნული ინფორმაცია არის ყალბი, რაც მარტივად დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერებით.

ჟურნალისტის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია პირდაპირ უგულებელყოფს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველ და მე-11 პრინციპებს - "ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია" და "ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება;"

თამარ ბაღაშვილს არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მანიპულირება განეხორციელებინა მაყურებლის და მაყურებლის განწყობა შეემზადებინა მომზადებული სიუჟეტის მთავარი დედააზრისთვის, რომ - "დავით ხიდაშელი იტაცებს უნივერსიტეტის ქონებას", ჟურნალისტმა იკადრა დეზინფორმაციის გავრცელება. სულ მცირე, ჟურნალისტს ევალებოდა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი ან ხელშეკრულება წარმოედგინა, რაც დაადასტურებდა დავით ხიდაშელის მიერ ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების შეძენის ფაქტს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველ პრინციპს არღვევს ჟურნალისტი ქეთი ნადიბაიძეც, კერძოდ - გადაცემის 06:48 წუთზე ქეთი ნადიბაიძე ამბობს, რომ "სავარაუდოდ, ხიდაშელის შემდეგიგეგმა და გათვლა არის ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური თუ არამატერიალური ქონებით სარგებლობა". არ არის მოყვანილი არც ერთი ფაქტი, რაც დაადასტურებდა, რომ დავით

ხიდაშელი სარგებლობს ტექნიკური უნივერსიტეტის მატერიალური თუ არამატერიალური ქონებით, ან რაში გამოიხატება ეს სურვილი.

აქ გასათვალისწინებელია, რომ 2023 წლის 27 იანვარს 20:00 საათზე ტელევიზია "ფორმულას" ეთერში, ასევე, გაკეთდა გადაცემა (https://www.facebook.com/TVFormula/videos/1553322335191116/) ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ, სადაც ჟურნალისტების მცდელობა, ასევე, იყო წარმოეჩინათ, რომ დავით ხიდაშელი უნივერსიტეტის ქონების ხელში ჩაგდებითაა დაინტერესებული. აღნიშნული ადასტურებს, რომ ტელეკომპანია "ფორმულას" აქვს მიკერძოებული მიდგომა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ ისე, რომ ფაქტების მოძიებით ჟურნალისტები თავს არ იწუხებენ და მხოლოდ ვარაუდებზე აგებენ სიუჟეტებს.

მიუხედავად იმისა, რომ 27 იანვრის გადაცემის პასუხად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ უკვე 29 იანვარს გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია (https://www.interpressnews.ge/ka/article/742683-sakartvelos-teknikuri-universiteti-gancxadebas-avrcelebs), ტელეკომპანია "ფორმულას" მიერ 04 თებერვალს მომზადებულ სიუჟეტში ჟურნალისტებმა უგულებელყვეს ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალური პოზიცია და არც კი ახსენეს იგი. უნივერსიტეტის განცხადებაში აღნიშნულია:
"ფონდი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მეცნიერთა, სტუდენტთა და ახალგაზრდა მკვლევართა უახლესი გამოგონებების, ინოვაციებისა და სამეცნიერო მიღწევების წარმოებაში დანერგვას, რასაც თავის მხრივ, მოჰყვება ახალი საწარმოების გახსნა და შრომის ბაზარზე დამატებითი სამუშაო ადგილების ფორმირება, შესაბამისად კი - ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. საქველმოქმედო ფონდი არ არის შემხებლობაში უნივერსიტეტის ძირითად საქმიანობასთან.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების ფონდი" ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია, კერძოდ კი, მიმდინარეობს ფონდის აღმასრულებელი საბჭოს ფორმირება, რომელშიც გაერთიანდებიან ცნობილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მედიასაშუალებები. ფონდი ფუნქციონირებას საერთაშორისოდ აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად შეუდგება. როგორც წესი, ევროპის, ამერიკის თუ აზიის ცნობილ უნივერსიტეტებში მოქმედებს კურსდამთავრებულთა საქველმოქმედო ფონდები და ალუმნები, რომელთა შემოწირულებები ცნობილ ბიზნესმენთა, მეცენატთა, ასევე სხვადასხვა მხარდამჭერი ფონდების მხრიდან ივსება და ეს საერთაშორისო საზოგადოებაში უარყოფით ემოციებს არ აღძრავს, პირიქით - ასეთ ქმედებებს საზოგადოება ყოველთვის მიესალმება. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების ფონდის" შექმნის იდეას უკვე გამოეხმაურნენ საზღვარგარეთ მცხოვრები სტუ-ის კურსდამთავრებული ბიზნესმენები და ჩვენი ქვეყნის ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, ჩაერთონ ფონდის საქველმოქმედო საქმიანობაში.

... “უნივერსიტეტის განვითარების ფონდის“ საქმიანობა იქნება აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალე და ის, გარკვეული პერიოდულობით, თავისი საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას საჯაროდ წარუდგენს.“

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები ადასტურებს ზემოაღნიშნული ჟურნალისტების მიერ ქარტიის მე-3 პრინციპის დარღვევასაც- “ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.“

<u>მე-2 საკითხი:</u>

ჟურნალისტური ქარტიის მე-4 მუხლი აცხადებს: “ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს“. ხოლო ქარტიის მე-10 მუხლი ადგენს, რომ “ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“.

სიუჟეტში 07:23 და 08:29 წუთზე ჩანს, რომ უნივერსიტეტის კანცლერი მოითხოვს, რომ არ განხორციელდეს მისი ჩაწერა კამერის საშუალებით. მიუხედავად ამისა, ოპერატორი აგრძელებს გადაღებას, ხოლო ეს უნებართვოდ გადაღებული მასალა გადაიცემა ეთერში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის შესასვლელი კიბეები და გარე ეზო წარმოადგენს უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეს. გადაღების მომენტშიც, ვხედავთ, რომ უნივერსიტეტის კანცლერი დაკისრებული სამუშაოს განხორციელების პროცესშია, როცა ის ტელეფონით სარგებლობს ან ესაუბრება სხვა თანამშრომლებს. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ამ დროს (29 იანვარს უნივერსიტეტმა გაავრცელა ოფიციალური პოზიცია) უკვე გავრცელებული ჰქონდა ოფიციალური პოზიცია და კანცლერმა არ ჩათვალა საჭიროდ, რომ სამსახურებრივი მოვალეობები შეეფერხებინა და ინტერვიუ მიეცა ტელევიზიისათვის. პირიქით, იგი მოითხოვდა, რომ კამერას შეეწყვიტა ჩაწერა, რაც არ განხორციელდა ოპერატორის მიერ. უფრო მეტიც, ზემოაღნიშნულმა ჟურნალისტებმა, ისე რომ მათ უნდა სცოდნოდათ, რომ რესპონდენტის სამუშაო პროცესის დროს, მისი ნების საწინააღმდეგოდ გადაღებული კადრები ეთერში საჯაროდ არ უნდა გაევრცელებინათ, უგულებელყვეს ქარტიის მე-4 მუხლი და მთელი სიუჟეტი სწორედ ამ ეთიკის დარღვევით გადაღებული კადრებით შექმნეს.

გარდა აღნიშნულისა, გადაცემის 12:49 წუთზე ჩანს, რომ თამაზ ურთმელიძის გადაღება მიმდინარეობს ფარულად. იმ დროს სამუშაო ოთახში იმყოფებოდნენ თამაზ ურთმელიძის

თანამშრომლები და ხდებოდა სამსახურებრივი საკითხების განხილვა. თამაზ ურთმელიძემ შენიშნა, რომ სამსახურებრივ სივრცეში უნებართვოდ იღებდნენ კამერით და კითხვა დაუსვა ჟურნალისტს, ფარულად იღებდა თუ არა ის, რაზეც ჟურნალისტმა იცრუა და უარი განაცხადა...

ჟურნალისტებმა, ხელი შეუშალეს სამუშაო პროცესს და ისე შეიჭრნენ სამსახურებრივ ოთახში. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ სამუშაო ოთახი წარმოადგენს პირად სივრცეს და დაცულია კონვენციითა და კონსტიტუციით. ამ სივრცეში უნებართვოდ ფოტო და ვიდეოგადაღება წარმოადგენს პირადი - დაცული ინფორმაციის გასაჯაროებას და დაუშვებელია. გარდა ამისა, სამსახურებრივ სივრცეში (განსაკუთრებით კი აუდიტის სამსახურში) ინახება სამსახურებრივი დოკუმენტები, რომელთა დაზიანების, საჯაროდ გავრცელებისა და საერთო ჯამში, უნივერსიტეტის კანონიერი უფლებების დარღვევის რისკი არსებობს. ცხადია, რომ ჟურნალისტებმა, ერთი მხრივ, განახორციელეს პირადი სივრცის სრულიად უკანონო ვიდეო-აუდიოჩაწერა, ხოლო მეორე მხრივ გაავრცელეს საჯაროდ და ამით სრულად დაარღვიეს ქარტიის მე-4 და მე-10 მუხლების მოთხოვნები.

სიუჟეტიდან (რომელიც ფარულადაა ჩაწერილი) არანაირად არ დასტურდება, რომ ფარული ჩანაწერებით ჟურნალისტმა რაიმე საზოგადოებისთვის ყურადსაღები მასალა მოიპოვა, პირიქით, ამით დასტურდება, რომ მან ხელი შეუშალა უნივერსიტეტის თანამშრომლებს ყოველდღიურ სამუშაო პროცესში.

ჩვენი მოთხოვნაა, რომ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ განიხილოს ჩვენი განცხადება და ჟურნალისტების თამარ ბაღაშვილის, ქეთი ნადიბაიძისა და დავით ქაშიაშვილის ქმედებას მისცეს შესაბამისი კვალიფიკაცია. ჩვენ გვჯერა, რომ მათ მიერ 2023 წლის 04 თებერვლის გადაცემაში - „შაბათის ფორმულა“ უხეშად იქნა დარღვეული სულ მცირე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი, მე-3, მე-4, მე-10 და მე-11 პრინციპები.

განმცხადებელი: